

კათედრალის ახალგაზრდების
მომლოცველობა უდემში



საბუა

№5(185)
მაისი
2011

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნა



ცხოვრება წიგნივითაა: ყოველდღე იწერება თითო გვერდი, თავისთავად, განსხვავებული სხვისაგან. ყოველი ჩვენგანის ცხოვრებაში დაწერილია ისეთი ფურცელი, რომლის ამოხევისა და გადაგდებასაც ისურვებდა, მაგრამ ამისი ნებართვა ჩვენ არა გვაქვს! თუმცა შეგვიძლია, ავიღოთ გულის კალამი და სიყვარულის ძალა, რომ დავწეროთ ახალი თავი...




სიმპოზიუმი ბიოეთიკაში

ქრისტე აღდგა!

იხაროს ახლა ანგელოსთა დასმა ზეცაში...

აღდგომა 2011: „ახალი ჰაერის ქროლვა“



არიან ნადავლი სიკვდილისა, რომელსაც იცავდნენ. იქნებ, გარკვეულნილად, ესაა ჩვენს წინაშე არსებული რისკი იმისა, რომ ჩვენც მივცემთ გასაქანს ამ მცველებს, რომლებიც შეიძლება ჩვენში ფხიზლობენ, რათა არაფრის შეცვლის საშუალება არ მოგვცენ, რომ ჩავრჩეთ ძველში, რომ ჩვენი ნამდვილი „მე“ დარჩეს დამარხული და ახალი ადამიანი არ იშვას ჩვენში. მცველები, რომლებიც დარაჯობენ სამარხს!!!

ახალი ადამიანი არის ის, ვისაც აქვს მიტევების უნარი, რათა დამარხოს ნამდვილი თუ მოჩვენებითი წყენა, განიკურნოს ჭრილობები და გამოისყიდოს მომხვეჭელობისა და ეჭვებისგან დალდასმული სიყვარული. აღდგომამ შეიძლება მოიტანოს „ახალი ჰაერის ქროლვა“ ადამიანური ურთიერთობების სფეროში, რომ აღადგინოს თანხმობა იქ, სადაც ქრის ბოღმისა და სიძულვილის ქარი; რომ მოიტანოს მშვიდობა იქ, სადაც მტრობაა; რომ დააბრუნოს პატივისცემა იქ, სადაც დამცირებაა; აუცილებელია, რომ ძველი ადამიანი, ყოვლისშემძლე და საკუთარ თავზე შეყვარებული, შეუწყნარებელი და მოძალადე, ჩავიდეს სამარხში ქრისტესთან, რათა იხილოს აღდგომა ახალი, გულთბილი და სოლიდარული, აღმდგარის ჭეშმარიტი ხატის მსგავსი ადამიანისა.

აუცილებელია, რომ ძველი ადამიანი განიკურნოს ღმერთის მიმართ ყოველგვარი ეჭვისაგან, ეძებოს ის იმ რწმენით, რომ შეხვედრა იქნება ნაყოფიერი და სიცოცხლისმომცემი.

ყურადღებით ვიყოთ იმ მცველთა მიმართ, რომლებიც უძრაობასა და უცვლელობას დარაჯობენ!

ვითომ უტოპიურია ფიქრი ახალი ჰაერის მობერვაზე ჩვენში, სარწმუნოებრივ, ოჯახურ ცხოვრებაში, საეკლესიო ურთიერთობებში, ქალაქის ცხოვრებაში, სამყაროს ჰორიზონტზე? აღდგომა არ არის უტოპია!!!

გისურვებთ ბედნიერ აღდგომას!

ძმური სიყვარულითა და მთელი გულით გისურვებთ „ახალი ჰაერის მობერვას“, ახალ სიცოცხლეს თქვენს ცხოვრებაში და თქვენს საკრებულოში!

*ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა
სამოციქულო ადმინისტრატორი,
პაპისკოპოსი † ჯუზეპე პაპოტო*

იესოს აღდგომის შემდეგ, მაშინვე თვალში გვხვდება დიდი მოძრაობა, რომელიც პირველ ქრისტიანულ თემში იბადება. ქალები დილაადრიან მიდიან სამარხთან და უკან ბრუნდებიან (შდრ. მათე 28,1); პეტრე და იოანე მირბიან სამარხისკენ (შდრ. იოან 20,4), მონაფეები ბრუნდებიან შინ (შდრ. იოან 20,10); მარიამ მაგდალელი მაშინვე გაემართა საუნწყებლად (შდრ. იოან 20, 18); ქალები ბრუნდებიან საკრებულოში (შდრ. ლუკა 24,9), მონაფეები ემაუსიდან იერუსალიმში ჩადიან (შდრ. ლუკა 24). მუდმივი სიახლეა, სიცოცხლე, რომელიც ვლინდება! არის დიდი სიხარული და სურვილი უწყებისა! (შდრ. მათე 28,8). არის „ახალი ჰაერის ქროლვა“ და იგრძნობა ეს!

ამ ფონზე, გვანცვიფრებს ის, რასაც მათე მახარებელი ამბობს მცველებზე: „მისი შიშით შედრკნენ მცველები და მკვდრებით გახდნენ“ (მათე 28,4). ისინი წარმოჩინდებიან, როგორც სიმბოლო მათი, ვინც ურწმუნოებას ცხოვრების სტილად აქცევს და მკვდარ არსებად იქცევა, რომელთაც არ ძალუძთ შინაგანი მოძრაობა, მათი გული არ ცემს. ისინი

EXULTETIAM ANGELICA TURBA CAELORUM... იხაროს ახლა ანგელოსთა ღასმა ზეცაში...

Exultetiam angelica turba caelorum... (იხაროს ახლა ანგელოსთა ღასმა ზეცაში...), — ამ ლათინური სიტყვებით დიაკონი საზეიმოდ აუნყებს უფლის აღდგომას სააღდგომო ცისკრის ჟამს, როგორც კი ახალი საპასეპო ცეცხლის კურთხევის ლიტურგია დასრულდება. ეს ტრადიციული, დასავლურ-ქრისტიანული ძველთაძველი და დიდებული ჰიმნია, რომელიც ასევე ცნობილია „Exsultet“-ის, ან სააღდგომო „კანდელის ხოტბის“ სახელით; გალობა გრეგორიანული მელოდიით სრულდება. მას იმდენად აფასებდა მოცარტი, რომ განაცხადა: „მთელ ჩემს ქმნილებებს უკუვაგდებდი, ოღონდაც Exsulteti შემექმნა“. გრეგორიანული საგალობლის სახით, ჩვენ ნამდვილად დიდი საუნჯე შევიძინეთ! შეუძლებელია, პასექის მთელი დიდებულება შეიცნო, თუკი მას მუსიკისა და გალობის ყველაზე ინტიმური კავშირიდან გათიშავ; პასექი ხომ ერთი დიდი საგალობელია... ლიტურგიული საგალობელი, რომელიც იმ ადამიანების გულში, ვინც აღმდგარ ქრისტეს აუნყებს, და ვინც ამ უწყებას ღებულობს, ერთ დიდ დღესასწაულად და „ჰიმნად“ იქცევა.

Exsultet-ის უძველესი ნიმუში 384 წელს განეკუთვნება; ამ საგალობლის შესახებ წერს წმ. იორალამო თავის ერთ-ერთ ნერილში; ჰიმნის ტექსტი შემდგომ პერიოდში განმტკიცდა და თანამედროვე ვერსიას შეესაბამა, რაშიც წვლილი მიუძღვის პაპ ინოკენტი III-ს (1198-1216). ტექსტი ორ ნაწილად არის დაყოფილი: პროლოგი და პრეფაციო, რომელიც ტრადიციის მიხედვით იცვლება. ამ გალობის ფონზე, ცხადდება სინათლის ტრიუმფი ბნელზე, რაც სიმბოლიზებულია იმ საპასეპო კანდელით (უმნიშვნელოვანესი ღამის სიბნელეში), რომელსაც ახლად ნაკურთხი სააღდგომო ცეცხლით ანთებენ სააღდგომო ცისკრის ჟამს; წმიდა ავგუსტინე მას „ყოველი ცისკრის დედას“ უწოდებდა. საპასეპო საიდუმლოს პრეფაციოს აღსრულების შემდეგ, დიაკონი მთელ მორწმუნე დასს იხმობს ლოცვისთვის, ხსნის ისტორიის სასწაულებისადმი მიძღვნილი საგალობლის ფონზე. შუასაუკუნეებში, გადამწერებმა შექმნეს პერგამენტის ძვირფას გრაფიკულ ლამაზად გაფორმებული Exsultet-ის მინიატურული ტექსტი, შესაბამისი ილუსტრაციებით, რომელიც ტექსტის საპირისპიროდ იყო განთავსებული. როდესაც დიაკონი ამბონიდან კითხულობდა ჰიმნს, პერგამენტის გრაფიკული თანდათან იშლებოდა და ქვემოთ ეშვებოდა; ამგვარად, ლათინური ენის არმცოდნე მორწმუნეებს შეეძლოთ, თვალი ედევნებინათ ილუსტრირებულად მიწოდებულ ისტორიაზე; ამგვარი ფორმით მიწოდებული Exsultet-ი, შეიძლება, თანამედროვე ილუსტრირებული კომიქსების, ან სულაც ანიმაციური ფილმების წინამორბედად ჩაითვალოს. ერთ-ერთი ასეთი ცნობილი გრაფიკული შემონახულია ქ. ბარის (იტალია) კათედრალის საეპარქიო მუზეუმში (იხ. ჟურნალის გარეკანის წინა ყდაზე) და იგი გახლავთ ათასიანი წლების ბენევენტური (ბენევენტო-ქალაქი იტალიაში) წესის მუსიკალური ნაწარმოების უნიკალური ნიმუში.

თუმცაღა, უნდა ვაღიაროთ, რომ გამორჩეული საპასეპო გალობა უდავოდ არის „ალილუია“, რომელიც ებრაულ ენაზე ნიშნავს: „აქეთ ღმერთი“. ძველად, ვიდრე დიდმარხვა დაიწყებოდა, საზეიმო და ნოსტალგიური განწყობით გალობდნენ ბოლო ალილუიას; შემდეგ მას ლიტურგიიდან ამოიღებდნენ სააღდგომო ცისკრის ალილუიამდე, რომელიც საამოდ მელოდიური და საზეიმო ტონალობით გამოირჩეოდა. ამრიგად, ვხედავთ, თუ რა დიდად განსხვავებული იყო სილაბური გალობა, რომელიც სრულყოფილად მისდევდა სიტყვის მარცვალს: ყოველ მარცვალზე ერთი ხმოვანი. მელიზმატური გალობა ლიტურგიულ დროებში უფრო ინტენსიური იყო იქ, სადაც ცალკეულ მარცვალზე ბევრი ხმოვანი მოდიოდა, რითაც თითქოსდა იკარგებოდა თავად მარცვლის შეგრძნება და მხოლოდ ჟღერაობითა და გალობით მთლიანად აღიქმებოდა ის, რასაც სიტყვა ვერ გადმოსცემდა. სწორედ ისე, როგორც წმ. ავგუსტინე აღწერს 32-ე ფსალმუნის შესახებ გაკეთებულ თავის ერთ-ერთ კომენტარში: რატომ მღერიან ლხინის ჟამს? რატომ შეიძლება აღიქვა, მაგრამ სიტყვებით ვერ ახსნა გულით ნამღერი? მართლაც, ისინი, ვინც მოსავლის აღების დროს, გინდ რთველის, ან გინდაც მძიმე გარჯის ნუთებში მღერიან, თავიდან სიამოვნებას თავად სიმღერის ტექსტის სიტყვებიდან იღებენ, მერე და მერე, როცა ემოცია ღვივდება, ხვდებიან, რომ სიტყვებით გრძნობის გამოხატვა შეუძლებელია და სრულ განტვირთვის მიცემიან ნოტების მოდულაციით; ასეთ სიმღერას საზეიმოს (giubilo) უწოდებენ. ეს არის მელოდია, რითაც გულს ეფინება ის გრძნობა, რასაც სიტყვები ვერ გამოხატავენ. ვის შეიძლება მიუძღვნა ეს ჰიმნი, თუ არა სრულყოფილ ღმერთს? დიახ, სრულყოფილია ის, ვისი გამოხატვაც შენ არ ძალგიძს. ხოლო თუკი ვერ გამოხატავ, და, მეორე მხრივ, არც გაჩუმება შეგიძლია, გალობის მეტი სხვა რა დაგჩენია? მაშინ გულში სიხარული დაივანებს, სიტყვები უკვე ამაოა, და სიხარულის უჩვეულო სიდიადეში ვერ შეიგრძნობ მარცვალთა ხარვეზს“.

თუკი გსურს, უფრო მეტი შეგნებით გაიზიარო წლებანდელი სააღდგომო ლიტურგია, გირჩევ, დიდი ყურადღებით მოეკიდო „Exsultet“-ის სრულ ტექსტს (სთხოვე ის შენს მოძღვარს, კატეხისტს, ან ინტერნეტში მოუსმინე მელოდიას შემდეგ მისამართზე: <http://www.youtube.com/watch?v=wdSF3kgZrJo>). გულდასმით წაიკითხე „Exsultet“-ის ლოცვა და შენი სიტყვებით გადაიტანე ფურცელზე, განმარტე იმ სიხარულის აღმნიშვნელ სიტყვათა მნიშვნელობა, რომლითაც განადიდებ აღმდგარ ქრისტეს. როდესაც ამას შეასრულებ, ყველაფერი გაცილებით იოლი იქნება...

იგალობეთ აღდგომის ჟამს, რათა გალობამ მოგვანიჭოს „ლხენა“ და განახლებული სულით ვიცხოვროთ აღმდგარი უფლის ნათელში.

ყველას გილოცავთ ბრწყინვალე აღდგომას!

Mane nobiscum, Domine! დარჩი ჩვენთან, უფალო!

(შეად. ლუკა 24,29)

უნმიდესი პაპის იოანე პავლე II-ის უკანასკნელი სააღდგომო ეპისტოლე (მის ნეტარად შერაცხვასთან დაკავშირებით)

ამ სიტყვებით სთხოვეს მონაფეებმა მათთან დარჩენა ემაუსის გზაზე შეხვედრილ მგზავრს, რადგან მწუხრი ჩამოდგა. დასრულდა პირველი დღე იმ კვირისა, როდესაც წარმოუდგენელი რამ მოხდა: ქრისტე აღსდგა, თავისი დაპირებისამებრ. მაგრამ მონაფეებმა ეს ჯერ არ იცოდნენ. და მაინც, როდესაც მგზავრი გზაში ელაპარაკებოდა მათ, აგიზგიზდა მათი გულეზი. ამიტომაც უთხრეს: „დარჩი ჩვენთან“. როდესაც სუფრას მიუსხდნენ სავახშმოდ, პურის გატეხისას იცნეს. და უცებ... იგი უჩინარი შეიქნა მათთვის. მონაფეების წინ დატეხილი პური იდო. მათ გულეზში კი მისი სიტყვების ტკბილი გამოძახილი გაისმოდა.



ძვირფასო დებო და ძმებო! სიტყვა და პური ევქარისტისა, საიდუმლო და ნიჭი აღდგომისა, საუკუნეთა შემდეგ, ქრისტეს ვნების, სიკვდილისა და აღდგომის მარადიულ მოგონებად რჩება! ამ აღდგომის დღეს, მსოფლიოს ყველა ქრისტიანთან ერთად, ჩვენ კვლავ და კვლავ ვიმეორებთ: იესო, ჯვარცმულ და მკვდრეთით აღმდგარო, დარჩი

ჩვენთან! დარჩი ჩვენთან, უერთგულესო მეგობარო, და განამტკიცე კაცობრიობა მის ისტორიულ გზაზე.



ვიზიტი საქართველოში, 1990 წ.

ცოცხალ სიტყვად მამისა, მიეცი სასოება და რწმენა მათ, ვინც თავისი ცხოვრების ჭეშმარიტ აზრს ეძებს. პურო მარადიული სიცოცხლისა, დააპურე ისინი, ვისაც მოშივდა ჭეშმარიტება, თავისუფლება, სამართლიანობა და მშვიდობა.

დარჩი ჩვენთან, ცოცხალ სიტყვად მამისა, და გვასწავლე სიტყვანი და საქმენი მშვიდობისა. მშვიდობა მინისტვის, რომელიც განწმედილია შენი სისხლით და გაჟღენთილია სისხლით მრავალი უდანაშაულო მსხვერპლისა; მშვიდობა ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის ქვეყნებისთვის, სადაც სისხლისღვრა გრძელდება; მშვიდობა მთელი კაცობრიობისათვის, რომელსაც ჯერაც ვერ ასცილებია ძმათამკვლელი ომების საფრთხე. დარჩი ჩვენთან, პურო მარადიული სიცოცხლისა, გაზიარებულ სხვათათვის. მოგვეცი ძალა, რომ თანადგომა და გულის სიუხვე ვაჩვენოთ მრავალთ, რომელნიც სიღარიბისა და შიმშილის გამო იტანჯებიან და კვდებიან, იღუპებიან უკურნებელი სენისა და ბუნების სტიქიონისაგან. შენი აღდგომის ძალით აზიარე ისინი ახალ სიცოცხლეს.

ჩვენ, მესამე ათასწლეულის ადამიანებს, გვჭირდება შენ, მკვდრეთით აღმდგარო უფალო! დარჩი ჩვენთან ახლა, დარჩი ჩვენთან უამთა აღსრულებამდე. მოგვეცი ძალა, რათა მატერიალურმა პროგრესმა არასდროს დაჩრდილოს ადამიანში სულიერი ღირებულებები, რომელიც მისი განვითარების სანინდარია. გვედრებით, განგვამტკიცე ჩვენს გზაზე. გვწამს შენი, ვსასოებთ შენით, მხოლოდ შენა გაქვს საუკუნო სიცოცხლის სიტყვები (შეად. იოან. 6,68).

**უნმიდესი პაპი იოანე პავლე II
Mane nobiscum, Domine! აღელუია!
წმიდა აბტრას მოედანი, 2005 წ. 27 მარტი.**



სამზადისი პატივითადაცისათის

უნმიდესი მამის, იოანე პავლე II-ის ბეატიფიკაცია ამა წლის 1 მაისს შედგება რომში. საგანგებო პრესკონფერენციაზე კარდინალი აგოსტინო ვალინი ამ მოვლენასთან დაკავშირებული მოლოდინის შესახებ საუბრობდა:

„იოანე პავლე II-ის პიროვნული ძალა რწმენაში გამოვლინდა, – მის ძლიერ რწმენაში, რომელიც თავისუფალი იყო შიშისა და კომპრომისისაგან, რწმენაში უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. ეს რწმენა ლატაკთა, მცირეთა, სნეულთა, განკიცხულთა სიყვარულის ენით მეტყველებდა.

დიდი იყო მისი ძალისხმევა ადამიანისა და მისი ღირსების დაცვისათვის. იგი ყოველთვის იმალეზბდა ხმას, როდესაც ეს ღირსება ილაზებოდა. მაგრამ პაპს დუმილის ენაზეც შეეძლო საუბარი. უკიდურესი სისუსტის ჟამს, სიცოცხლის უკანასკნელ დღესაც კი, მისი სახე, სნეულებითა და ტკივილით დალდასმული, პიროვნულ სიღიადესა და ღირსებას ასხივებდა“.

სამი დღე, – 30 აპრილიდან 2 მაისამდე, – ამ ზემის მონაწილეთა შორის სულიერი გამოცდილების გაზიარებასა და ლოცვაში გაივლის. 30 აპრილის საღამოს, ავეტინისა და პალატინის ბორცვებს შორის, იქ, სადაც ოდესღაც Circus Maximus იყო განლაგებული, ასი ათასობით მორწმუნე შეიკრიბება, რათა მომავალი ნეტარი მოიგონოს და მისი უსაყვარლესი სავარდის ლოცვა წაიკითხოს. 1 მაისის დილას, წმიდა პეტრეს მოედანზე კი უნმიდესი პაპი ბენედიქტე XVI ბეატიფიკაციის წმიდა წირვას აღავლენს. წმიდა პეტრეს მოედანზე მორწმუნეები 2 მაისის დილასაც შეიკრიბებიან, ამჯერად სამადლობელ წირვაში მონაწილეობის მისაღებად.

აფრიკისა და გერმანიის ეპისკოპოსები ლტოლვილთა უფლებების დასაცავად

28 მარტიდან 2 აპრილამდე მიუნხენში აფრიკისა და გერმანიის ეპისკოპოსთა შეხვედრა მიმდინარეობდა. შეხვედრის თემა აფრიკიდან ევროპაში ემიგრაცია იყო. შეხვედრის მონაწილეთა მიერ შედგენილი ერთობლივი კომუნიკეს თანახმად, „ლტოლვილები საკაცობრიო ოჯახის ყველაზე სუსტი და დაუცველი წევრები არიან. მათი დაცვა ყოველი სახელმწიფოს იურიდიული და ზნეობრივი მოვალეობაა“.

„გულისწუხილით აღვნიშნავთ იმ ფაქტს“, – ნათქვამია შემდგომ კომუნიკეში, – „რომ, პრაქტიკულად, ევროკავშირის გარე საზღვრების დაცვა პრობლემას ქმნის ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. ჩვენ ვითხოვთ, რომ თავშესაფრის ყოველი მოთხოვნა სათანადოდ იყოს განხილული.“

სშირად ყურადღების მიღმა რჩება ის დადებითი წვლილი, რომელიც იმიგრანტებს შეაქვთ მიმღებ საზოგადოებაში. მიგრაცია ყოველთვის არსებობდა და საუკუნეთა მანძილზე ხელს უწყობდა კაცობრიობის სოციალურ და კულტურულ განვითარებას. საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიზანი არა ზოგადად მიგრაციის, არამედ იძულებითი, – სიღატაკისა და მიუსაფრობის გამო მიგრაციის აღმოფხვრა უნდა გახდეს. რაც შეეხება ეკლესიის როლს ამ პროცესში, მან კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს სამოძღვრო ზრუნვა მიგრანტებზე. თავის საქმიანობაში ეკლესია არ მიჯნავს ლეგალურ და არალეგალურ იმიგრაციას, თუმცა კარგად ხედავს ამ უკანასკნელთან დაკავშირებულ პრობლემებს.“



კომუნიკეს დასასრულს, ეპისკოპოსები ხაზს უსვამენ იმას, რომ სავსებით ესმით მათი, ვინც უცხოტომელთა გვერდით ცხოვრებას არ არის ჩვეული. მაგრამ ყველა წამოჭრილი პრობლემა სამართლიანობითა და კაცთმოყვარებით უნდა გადაიჭრას და არა სიძულვილითა და ძალმომრეობით. „ჩვენ, აფრიკისა და გერმანიის ეპისკოპოსები, მზად ვართ, წინ აღვუდგეთ რასიზმისა და ქსენოფობიის ყოველგვარ გამოვლინებას. მხოლოდ ასე შევძლებთ სამომავლო კეთილდღეობის უზრუნველყოფას“.

ვიეტნამის კათოლიკეთა დამცველს შვიდი წლით პატიმრობა მიუსაჯეს

4 აპრილს ათასობით ვიეტნამელი კათოლიკე თავისი თანამემამულის, კუ ჰიუ ვუს კეთილდღეობისთვის ლოცულობდა. ამ დღეს 54 წლის იურისტსა და ადამიანის უფლებათა დამცველს ათწლიანი პატიმრობა მიესაჯა.

თავად ვუ არ არის ქრისტიანი, მაგრამ, მთელი თავისი დისიდენტური მოღვაწეობის მანძილზე, იგი აქტიურად აპროტესტებდა ქრისტიანთა დევნას ვიეტნამის კომუნისტური რეჟიმის მიერ.

დისიდენტის მხარდამჭერთა მოსალოდნელი გამოცვლებისგან თავის ასაცილებლად, ხელისუფლებამ უსაფრთხოების ზომები გააძლიერა. მიუხედავად ამი-



სა, 3 აპრილს ჰანოიში, სახალხო სასამართლოს შენობასთან ათასობით ადამიანი შეიკრიბა. მთავრობის მხრიდან პროტესტს მხოლოდ შეკრებილთა დარბევა და ოცდაათი ადამიანის დაპატიმრება მოჰყვა.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენლის, მარკ ტონერის განცხადებით, „ეს განაჩენი ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას. არც ერთი ადამიანის თავისუფლება არ უნდა აღიკვეთოს იმიტომ, რომ იგი სიტყვის თავისუფლების უფლებით სარგებლობს. ჩვენ მოვუწოდებთ ვიეტნამის მთავრობას, დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს კუ ჰიუ ვუ და სინდისის სხვა პატიმრები“.

კუ ჰიუ ვუ ვიეტნამის ცნობილი პოეტისა და რევოლუციონერის, ჰო ში მინის მთავრობის წევრის ვაჟია.

ნაზიჯი აუტიზმის დაქვემდებარება

ვატიკანის ბავშვთა საავადმყოფოს Bambino Gezu (ჩვილი იესო) პრეს-სამსახურის ცნობით, საავადმყოფოსთან არსებულმა აუტიზმის სამკურნალო ცენტრის სპეციალისტებმა ამ დაავადებასთან ბრძოლაში მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწიეს. ჩატარებულ კვლევათა შედეგები წარმოდგენილი იყო სიმპოზიუმზე „ბავშვები და აუტიზმი: როგორ დავძლიოთ სენი“.

ცენტრში გამოიყენება ინოვაციური თერაპია, რომელიც ადრეულ დიაგნოსტიკასა და მშობელისა და ბავშვის ინტენსიურ ურთიერთობაზეა დაფუძნებული. გარდა ამისა, თითოეულ ბავშვთან ყოველდღიურად 9 საათის განმავლობაში მუშაობენ ცენტრის სპეციალისტები.

მეთოდის გამოყენების პირველსავე წელს თერაპიას 100%-იანი შედეგი ჰქონდა. თერაპია გაიარა 1,5-დან 6 წლამდე ასაკის ორმოცდაორმა ბავშვმა. უკლებლივ ყველა პაციენტს აღენიშნა მეტყველების უნარის განვითარება და გარეგან სტიმულებზე რეაქციის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. ინოვაციური მეთოდი პაციენტებისადმი ინდივიდუალურ მიდგომას



ითვალისწინებს: ყოველ ბავშვს – მისთვის განსაკუთრებული თერაპია, რათა გაირღვეს არაკომუნიკაბელურობის ზღუდე.

ქრიზოსტომოს II-ის ვიზიტი ვატიკანში

31 მარტს დასრულდა იუსტინიანისა და სრულიად კვიპროსის მთავარეპისკოპოსის, უნეტარესი ქრიზოსტომოს II-ის ვიზიტი ვატიკანში. ვიზიტის მსვლელობისას, კვიპროსის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური შეხვდა უნმიდეს პაპს, ბენედიქტე XVI, ასევე აღმოსავლეთის კათოლიკურ ეკლესიათა კონგრეგაციის პრეფექტს კარდინალ ლეონარდო სანდრის, კულტურის პაპის საბჭოს პრეზიდენტს ჯანფრანკო რავაზისა და რელიგიათა შორის დიალოგის პაპის საბჭოს პრეზიდენტს ჟან-ლუი ტორანს.

„კვიპროსს შესანიშნავი ურთიერთობა აქვს ახლო აღმოსავლეთის ყველა ქვეყანასთან. იგი ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრია. თავისი გეოგრაფიული მდებარეობისა და გეოპოლიტიკური როლის გამო, კვიპროსს დიდი წვლილის შეტანა შეუძლია ახლო აღმოსავლეთის პრობლემათა გადაწყვეტაში და ამ რეგიონის ქრისტიანთა დაცვის საქმეში.“



რაც შეეხება კათოლიკე ეკლესიასთან დიალოგს, ვფიქრობ, ამ ეტაპზე ჩვენ კიდევ უფრო დავუახლოვდით ერთმანეთს. და ჩვენი ვალია, კვლავაც გავყვეთ დიალოგის გზას, რადგან ამ გზას მომავლისკენ მივყავართ. ერთად უნდა ვიშრომოთ არსებულ პრობლემათა გადაჭრისათვის. გადანწყვეტილება მივიღეთ, ერთად და დაუღლელად ვიღვანოთ ერთობის მისაღწევად“, – აღნიშნა უნეტარესმა ქრიზოსტომოს II-მ ვატიკანის რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში.

მთაწადა რუსუდან ავალიშვილი

ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო
რაბათის ეკლესიის მონაწილეობისათვის

ნ თვეა, რაც ახალციხეში რაბათის ეკლესია-მონასტრის მშენებლობა დაიწყო; მადლობას მოგახსენებთ ყველას, ვინც ამ ხნის განმავლობაში თავიანთი მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი შესანიშნავი გაილო მონასტრის მშენებლობისათვის. იესო სახარებაში უფრო მეტად აფასებს ქვრივის მცირე შესანიშნავს, ვიდრე მდიდრისას, რადგან ღარიბმა ქვრივმა სიყვარულით გაილო ყველაფერი, რაც გააჩნდა.

თქვენს მიერ შეწირული ყოველი ლარი იქნება ის უდიდესი მადლი, რომელსაც ღმერთი შეამჩნევს, ადამიანი კი იტყვის, რომ მონასტრის მშენებლობაში მისი მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი წვლილიცაა შეტანილი.

დიდი მადლობა, ილოცეთ მონასტრის მშენებლობისათვის!

დღემდე შეგროვდა:

თბილისის მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძრის საკრებულო	1273.40 ლ.
თბილისის წმ. პეტრე და პავლე მოციქულთა ეკლესიის საკრებულო	2648.00 ლ.
რუსთავის საკრებულო	39.00 ლ.
გორის საკრებულო	36.50 ლ.
ახალხიზის საკრებულო	26.15 ლ.
ქუთაისის საკრებულო	75.40 ლ.
ბათუმის საკრებულო	55.00 ლ.
ახალშენის საკრებულო	31.95 ლ.
ჭიათურის საკრებულო	23.00 ლ.
ახალციხის საკრებულო	1148.10 ლ.
ბორჯომის საკრებულო	36.60 ლ.
ვალეს საკრებულო	314.45 ლ.
ივლიტას საკრებულო	174.85 ლ.
არლის საკრებულო	303.25 ლ.
უდეს საკრებულო	291.85 ლ.
ხიზაბავრის საკრებულო	8.00 ლ.
ვარგავის საკრებულო	17.05 ლ.



2011 წლის 12 აპრილი

თანადგომა

2011 წლის 11 მარტს იაპონიაში მომხდარმა საზარელმა 9-ბალიანმა მიწისძვრამ და ცუნამმა წამებში წალეკა და დაანგრია ქვეყნის დიდი ნაწილი და გააუბედურა ათასობით ადამიანი.

იაპონელი ხალხის დასახმარებლად, „საქართველოს კარიტასი“-ს ინიციატივით, მოეწყო საქველმოქმედო აქცია. მასში ჩაებნენ საქართველოს კათოლიკური საკრებულოები და კარიტასის ორგანიზაციები.

აქციის შედეგად, შეგროვდა 3060,00 ლარი, მათ შორის: 256,00 ლარი კათედრალური ტაძრის მრევლისგან (2011 წლის 27 მარტს საკვირაო წმ. წირვაზე),

150,00 ლარი დასავლეთ საქართველოს მრევლისგან და 102,00 ლარი სოფ. არლის მრევლისგან, დანარჩენი 2552,00 ლარი „საქ. კარიტასი“-ს სხვადასხვა პროექტებისა და „კარიტასის“ მიერ დაფუძნებული შ.პ.ს.-ის თანამშრომლებისა და ბენეფიციარებისგან.

შეგროვილი თანხა „საქ. კარიტასი“-ს დირექტორმა პადრე ვიტოლდ შულჩინსკიმ 2011 წლის 8 აპრილს გადასცა საქართველოში იაპონიის ელჩს, რომელმაც მადლობა გადაუხადა „საქართველოს კარიტასს“ და კათოლიკურ ეკლესიას ამ ძნელბედობის ყამს იაპონელი ხალხის მხარდაჭერისათვის.

ნაზი კვარჩია საქართველოს კარიტასი

დავეხმაროთ იაპონელ ხალხს !!! შემოგვიერთდით !!! Assist Japan people !!! Join us !!!



საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს კარიტასი“ აგარებს აქციას იაპონელი ხალხის დასახმარებლად Charitable Foundation "Caritas Georgia" is conducting an action to assist Japan People

„სუროგატული დედობა“

საქართველოს საპატრიარქოსა და საქართველოში კათოლიკე ეკლესიის ერთობლივი, საერთაშორისო კონფერენცია

2011 წლის 23 მარტს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა საქართველოს საპატრიარქოსა და საქართველოში კათოლიკე ეკლესიის ერთობლივი, საერთაშორისო კონფერენცია ბიოეთიკაში, თემაზე — „სუროგატული დედობა, სულიერ-ზნეობრივი ასპექტები“.

„საბას“ რედაქციის წევრი ნუშზარ ბარდაველიძე, კონფერენციის დასრულების შემდეგ, შეხვდა კონფერენციის ერთ-ერთ ორგანიზატორს, საქართველოში კათოლიკე ეკლესიის წარმომადგენელს, მამა ბაბრიელ ბრატანტინის. გთავაზობთ მათი საუბრის ჩანაწერს.

მიმდინარე წლის 23 მარტს, თბილისში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ბიოეთიკის პრობლემებს, კერძოდ კი, „სუროგატული დედობის სულიერ-ზნეობრივ ასპექტებს“ ეძღვნებოდა. თქვენი, როგორც ამ ფორუმის ერთ-ერთი აქტიური ორგანიზატორისა და კოორდინატორის, შეფასება, ცხადია, უფრო თვითკრიტიკული და, ამავე დროს, უფრო ღრმა იქნება. როგორ თვლით, მიაღწია ამ ფორუმმა მის სულსჩამდგმელთა მიერ დასახულ თავდაპირველ და სასურველ მიზანს?

ვფიქრობ, რომ სიმპოზიუმმა, ზოგადად, თავის დასახულ მიზანს მიაღწია: ცხადია, ესოდენ მნიშვნელოვან თემას, როგორცაა „სუროგატული დედობა“, თვით კვალიფიცირებული ექსპერტების მხრიდან რამდენიმე საათიანი საუბრით ვერ ამოწურავ; ეს გახლდათ პირველი შეხვედრა, სადაც ეკლესიებმა ერთად გამოხატეს თავიანთი აზრი ამ არგუმენტზე და დაასახელეს მიზეზები, რის გამოც ეწინააღმდეგებიან სუროგატულ დედობას; ის მოტივაციები, რითაც, ჩვეულებრივ, მას იღებენ; ფორმები, რითაც იგი, უმეტეს შემთხვევაში, პრაქტიკაში იწერება და, ცხადია, ის ნეგატიური შედეგები, რაზეც სინამდვილეში არ საუბრობენ. რასაკვირველია, ეს ის თემებია, რასაც სჭირდება კონფრონტაცია, დიალოგი, შეხვედრებათა გაზიარება საზოგადოების წევრებს შორის კონსტრუქციულ ატმოსფეროში, არა ნაწილობრივ, და არა პოლემიკით. იქმნება შთაბეჭდილება, რომ პოლიტიკურ, სამედიცინო, მეცნიერულ, საკანონმდებლო სფეროს და მასმედიას სხვა საფიქრალი აქვს... მაშინ, როცა დღეს აუცილებელია, ერთად შეჯერდეს გამოცდილებები, ჩაიდოს ენერჯია და ცოდნა, რომელიც მიგვიყვანს იმ წინადადებად, რასაც ნამდვილად ექნება შედეგი. შედეგს მოიტანს არა იმისი მცდელობა, ვინც ხმამაღლა საუბრობს, ან ვინც ყველაზე ძლიერის მხარეზე დგას, არამედ ის, ვინც ცდილობს, ემსახუროს პიროვნებას, განსაკუთრებით კი ყველაზე დაუცველს, რომელიც შეიძლება იყოს სუროგატული დედის ნაყოფი; ვინც ეხმარება წყვილს, იმგვარად დაძლიოს უნაყოფობით გამოწვეული პრობლემა, რომ არ უღალატოს იმ პრინციპს, რაც ადამიანის, ცოლქმრული სიყვარულის, ოჯახის ქვეყნარტ მიზანს წარმოადგენს; სუროგატული დედობა ვერ დაიცავს ცოლქმრულ სიყვარულს, ვერ გაამართლებს შვილის ამქვეყნად მოვლინებას ყველაფრის ფასად, ისეთი მეთოდით, რაც ბუნებას ეწინააღმდეგება. საჭიროა საერთო მსჯელობა, სხვაგვარად, ცალკეული ადამიანი თავს უფლებას მისცემს, აკეთოს ის, რასაც თავად ჩათვლის საჭიროდ და ანგარიშს არ

გაუწევს იმ სამართლიან კანონს, რაც სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს ამ პრობლემებთან მიმართებაში, არ გაითვალისწინებს ადამიანში, წყვილში არსებულ ბუნებრივ კანონზომიერებას... დაფიქრდეთ, რამდენად უცნაურია: საზოგადოებაში მოიძებნებიან ისეთები, რომელთაც შვილის ყოლის დიდი სურვილი აქვთ და პირიქით; ისეთიც, რომელნიც საკუთარ სექსუალობას რყვნიან და თამაშის, გართობის საგნად აქცევენ მას, ვინც სხვის სექსუალობას მიმართავს შვილის ყოლის მიზნით... რამდენი უკუვერსია! და რაზე მიანიშნებს ეს?

თბილისში ბიოეთიკისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმში უკვე მეოთხედ ჩატარდა. სიმპოზიუმები მიეძღვნა აბორტის, ევთანაზიის, პალეატური მზრუნველობის პრობლემას... მაგრამ ვფიქრობ, რომ წლებადღეული სიმპოზიუმები გამორჩეულია, მასში ოფიციალური მონაწილეობა მიიღო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქომ. რა უფრო მნიშვნელოვანი იყო თქვენთვის, როგორც ორგანიზატორისათვის: წლებადღეული კონფერენციაში საპატრიარქოს ოფიციალური მონაწილეობა, თუ სუროგატი დედობის პრობლემების განხილვის დაწყება?

მართალია, ამ წლებში ჩატარდა სიმპოზიუმები ბიოეთიკის საკითხებზე; ეს მეტყველებს ქართულ საზოგადოებაში ამ



პრობლემებისადმი ინტერესზე, რაც ძალიან პოზიტიურია... პრობლემური საკითხები, მაგალითად, აბორტი, ევთანაზია, როდის იბადება სიცოცხლე, როდის მთავრდება ის, ოდითგანვე არსებობდა. დღეს, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების პირობებში, ადამიანს ეძლევა დიდი შესაძლებლობა, რომ ან ემსახუროს სიცოცხლეს, ან გაანადგუროს ის.

თავად ფაქტი, რომ ამ კონფერენციაში მონაწილეობდა ორი, მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესია, მრავლისმთქმელია. სხვადასხვა ქვეყნებში უკვე იყო მსგავსი ინიციატივები, სადაც კათოლიკე და მართლმადიდებელი ეკლესია ერთად მსჯელობდა ბიოეთიკის პრობლემებზე (მაგალითად, რუსეთში).

ვფიქრობ, რომ თუკი ეკლესიები საღვთისმეტყველო საკითხთა გამო არიან გათიშულები და დღესაც, სამწუხაროდ, ჭირს აქედან გამოსავლის პოვნა, ბიოეთიკის პრობლემების გამო, ისინი არ უნდა გაეთიშონ ერთმანეთს, თუკი მათ ადამიანის მსახურება სწადიათ. ამიტომ, თამამად შევიძლია განვაცხადოთ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი გახლდათ ის ფაქტი, რომ ორი ეკლესიის წარმომადგენლები ერთი მაგიდის ირგვლივ დასხდნენ და ამ არგუმენტზე

933

საერთო მოსაზრება გამოხატეს საზოგადოებისა და მას-მედის წინაშე. ცხადია, ეკლესიები ერთად არ დადგებიან, რომ უკეთ შეებრძოლონ მათ, ვინც განსხვავებულად ფიქრობს, მაგრამ შეძლებენ, უკეთ ემსახურონ ადამიანს, მრავალგვარი ასპექტით.

გეთანხმებით, რომ საპატრიარქოსთან ერთობლივი ღონისძიებების მოწყობა მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია, განსაკუთრებით ეკლესიათაშორის პოლიტიკის თვალსაზრისით. მე ვიტყვოდი, ეს ფაქტი ძალზე მნიშვნელოვანი იქნება თვით საპატრიარქოსთვისაც, რომელიც, რუსეთთან სახელმწიფოებრივი კონფრონტაციის ვითარებაში, იძულებული იქნება, უფრო ახლო ურთიერთობა გამონახოს დასავლეთის ეკლესიასთან. როგორ გესახებათ საქართველოში კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლობისა და საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის თანამშრომლობის პერსპექტივები?

ძნელია, უპასუხო ამ კითხვას, თუკი მას პოლიტიკური დატვირთვაც ექნება, თანაც ამ კონკრეტულ ისტორიულ კონტექსტში; ეკლესიებს თავისი წონა გააჩნია სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში... ცხადია, პოლიტიკა და რელიგია ის ორი ავტონომიური რეალობაა, რომლებმაც ერთმანეთი კი არ უნდა დაჯაბნონ ან ჩაძირონ, არამედ მოწოდებულნი იყონ, ითანამშრომლონ საერთო მიზნებისთვის, როგორცაა: საერთო კეთილდღეობა, ადამიანის ინტეგრალური განვითარება... თუნდაც განსხვავებული მეთოდებით. ცხადია, ეს ინიციატივა არ გაჩნდა იმისათვის, რომ დასავლეთისთვის აღმოსავლეთის პოლიტიკურად სანინააღმდეგო სურათი გვეჩვენებინა, ან პირქით,... არამედ იმისათვის, რომ აქტუალური დებატებით ერთობლივი აზრი გამოგვეხატა ბიოეთიკის პრობლემებზე. პოლიტიკური მესიჯზე მეტად, ვიტყვოდი, რომ ეს არის მესიჯი ეკლესიებისა, რომლებიც დასავლეთით და აღმოსავლეთით ურთიერთპატივისცემით იხედებიან და ერთად გამოხატავენ თავიანთ სიყვარულს, თავიანთ აზრებს, ზრუნვას ადამიანთა მიმართ; საზოგადოების ყოველი წევრი უნდა ხედავდეს და აცნობიერებდეს, რომ ეკლესიებს, ხშირად გაყოფილებსა და საკუთარ იდეებში ჩაკეტილებს, ძალუძთ ერთად ყოფნა, ერთად საუბარი, ყოველგვარი შიშის გარეშე.

გულით ვისურვებდი, რომ ამ სულისკვეთებით გაგრძელდეს შეხვედრები ბიოეთიკის სხვა საკითხებზეც, ან გაგრძელდეს მსჯელობა აქტუალურ თემაზე — სუროგატული დედობა, და განხილულ იქნას ის წინადადებები, რითაც ეკლესიები პასუხს გასცემენ უნაყოფობის, შვილის ყოლის ან არყოლის პრობლემებს... ან სხვა არგუმენტებს: ოჯახები და სუროგატული დედობა, ანდა სუროგატი შვილი... მოკლედ, სამწუხარო იქნება, თუკი მსჯელობა შეწყდება. ეს უკანაგადადგმული ნაბიჯი იქნება... კათოლიკე ეკლესია მზად არის საქართვე-

ლოს მართლმადიდებელ საპატრიარქოსთან თანამშრომლობისთვის აქ, და ასევე, საერთაშორისო დონეზეც, ამ და სხვა პრობლემებთან დაკავშირებით.

1967 წელს, პაპმა პავლე VI-მ თავის ცნობილ ენციკლიკაში „Populorum Progressio“, დიდი ყურადღება დაუთმო სოციალურ საკითხებს. მართალია, იმჟამად ბიოეთიკა, როგორც მეცნიერება, ჯერ არ არსებობდა, მაგრამ, ალბათ, სწორედ აღნიშნული ენციკლიკა შეიძლება მივიჩნიოთ ბიოეთიკის საფუძვლის ერთ-ერთ პირველ თეორიულ საწყისად...

როდესაც ეს ენციკლიკა გამოიცა, 12 წლის ყმანვილი ვიყავი, მაგრამ კარგად მახსოვს ის ხმაური, რაც საზოგადოებაში ატყდა, სწორედ მისი შინაარსიდან, მისი პოზიციიდან გამომდინარე. ენციკლიკა ამკარად ეხებოდა სოციალური პრობლემების სფეროს. ეს იყო ევროპაში ინდუსტრიალიზაციის, ეკონომიკის განახლების, კაპიტალისტურ და სოციალისტურ იდეოლოგიათა კონფრონტაციის, უფრო სამართლიანი მსოფლიოს მოწყობის მიზნით ახალგაზრდული პროტესტების წლები, და ასევე კოლონიზაციის მონობიდან თავდახსნის, ახალი ქვეყნების აღმოცენების წლები.

ეკლესიაში თითქოს ყველაზე მთავარი გახლდათ სოციალურ პრობლემებზე საუბარი, რადგანაც ყველაზე დიდ ყურადღებას ამ თემას უთმობდნენ. ეკლესიის სოციალური სწავლება იმ კუთხით, რომელიც შეეხებოდა სიცოცხლის დაბადებას, ევთანაზიას, უფრო მოუმზადებელი გახლდათ, ვიდრე მისი მორალური სწავლება, თუნდაც იმიტომ, რომ ადამიანთა უმრავლესობა სიცოცხლეს ჯერ კიდევ ხელშეუხებელ და წმიდათაწმიდა ფენომენად მიიჩნევდა, თუმცა, ჩნდებოდა სანინააღმდეგო აზრებიც. ეს იყო პირველი ბზარი სიცოცხლის შესახებ სოციალურ და მორალურ სწავლებასთან დაკავშირებით, რაც აისახა ენციკლიკაში Humanarum Vitae; საზოგადოებამ ის ისე არ მიიღო, როგორც Populorum Progressio. მოგვიანებით, ამ საკითხთან დაკავშირებით, მახსოვს მწვავე დისკუსიები სკოლის რამდენიმე ამხანაგთან და, ასევე, ზოგიერთ მასწავლებელთან.

XXI საუკუნეში ბიოეთიკის პრობლემებს უფრო მეტად ეხებიან. პაპ ბენედიქტე XVI-ის 2009 წლის ენციკლიკაში „Caritas in Veritate“, მთელი პარაგრაფი ეთმობა ისეთ საკითხებს, როგორცაა ხელოვნური განაყოფიერება, ორგანოების გადანერგვა, ცდები ემბრიონებზე, კლონირება. პაპი აღნიშნავს, რომ ყველაფერი ეს ვითარდება და ხელშეწყობას პოულობს დღევანდელ კულტურაში, რომელსაც ჰგონია, რომ ყველა საიდუმლოს ჩანვდა, სიცოცხლის საწყისი მოიხელთა. ცხადია, ეს ტექნოლოგიის ბატონობის გამოხატულებაა“. როგორ ფიქრობთ თქვენ, როგორც მოქალაქე და სასულირო პირი, კარგად ჩახედული ამ სფეროში, პიროვნება, რომელიც იტალიასა და საქართველოში ბიოეთიკის პრობლემებით სერიოზულად



პატრი მუხრანისძე: ილუმენი, დოლმატოვოს საკრებულოს უფროსი, მრავალი პუბლიკაციის ავტორი, ეწევა აღმზრდელით საქმიანობას, არის ბავშვებისა და მოზარდების სულიერი ფორმაციის საპატრიარქო ცენტრის ვიცე-დირექტორი.



დღევანდელი გამოწვევები

მზერა რუსეთიდან

უწყვეტი კავშირი

საუბარი უნდა დავიწყოთ იმ ფაქტით, რომ მრავალი საუკუნის მანძილზე, რუსეთის ორთოდოქსული (ზოგადად, ორთოდოქსული ეკლესიის) და დასავლური ქრისტიანული კონფესიების, კერძოდ, კათოლიკე ეკლესიის პარალელურად, არსებობის ათასწლოვან პერიოდში, ქრისტეს ეკლესიის ღრმა ერთობა, ოფიციალური საეკლესიო სტრუქტურების მიერ მისი აულიარებლობის მიუხედავად, კვლავ რეალურ ფაქტად რჩება.

აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესია 1054 წელს მხოლოდ ფორმალურად გაითიშა და არა არსობრივად. ამკარად ღვთიური ჩანაფიქრი დევს იმ ფაქტში, რომ აღმოსავლური ეკლესია პირველ ათასწლეულში უფრო აქტიური იყო საღვთისმეტყველო, ესთეტიკისა და სოციალურ-კულტურულ სფეროში. ასეთი აქტიურობა კი ძვირად დაუჯდა, რადგანაც შემდგომ მას სახელმწიფოსთან შეუღლება მოუხდა. თუმცა, იმ დროს, სახელმწიფოს გარდა, პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო განვითარებულიყო ის, რასაც დღეს ორთოდოქსიას ვუნდობთ. დროთა მსვლელობაში, მართლმადიდებლობა, რათა მას განვითარება შეეძლებოდა, კერძო ინტერესებმა გადაფარა, ხოლო ეკლესია, ბიზანტიურ სახელმწიფოსთან ერთად, დაღმართზე დაეშვა.

კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ, რომელმაც მოასწრო რუსეთისთვის „გადაეცა ესტაფეტა“, აღმოსავლური ეკლესია ოტომანების უღელქვეშ აღმოჩნდა, ანუ იმ პირობებში, როცა მას არ შეეძლო არანაირი თეოლოგიური, ლიტურგიული, ან თუნდაც სოციალურ-კულტურული განვითარება; ეკლესიაც სხვას ვერაფერს ახერხებდა, თუ არა მხოლოდ წარსულის საგანძურის მოფრთხილებას. თავის მხრივ, რუსეთს, რომელმაც მიიღო ბიზანტიური მართლმადიდებლობა, არ ჰყავდა ისეთი საზოგადოება, რომელიც შესაფერის ნიადაგს მოუმზადებდა იმას, რაც კრეატიურულად მიესადაგებოდა და გაყვებოდა ეკლესიის საღვთისმეტყველო მემკვიდრეობის განვითარების გზას; ამიტომაც დაცვა-გაფრთხი-

ლება და კონსერვატიზმი თავიდანვე იქცა რუსული საეკლესიო ცხოვრების განუყოფელ ნაწილად. ცხადია, შვიდი საუკუნის მანძილზე მართლმადიდებლობამ რუსეთში სამზეოზე გამოიტანა თავისი უმნიშვნელოვანესი მხარეები: ეკლესიის ორიგინალური არქიტექტურა, რუსული ხატები (უნიკალური თავისი ჟანრით), და მონოდიური ანტიკური მელოდიები, აღარაფერს ვამბობთ რუსი წმინდანების უზარმაზარ ქრისტიანულ სიქველზე. აქ არაფერია საკამათო. თუმცა, ამ ყველაფერს ორი მკაფიო ნიშან-თვისება ახასიათებდა. პირველი – პეტრე I-მდე რუსეთის ეკლესიამ საკუთარი თავი გამო-

ავლინა მხოლოდ ესთეტიკის, და არა თეოლოგიურ, აღმზრდელით, ან სოციალურ სფეროში. მეორე – ზემოთქმულიდან გამომდინარე, რუსი წმინდანების გმირობამ, სამწუხაროდ, ნაყოფი ვერ გამოიღო რუსი ხალხის ცხოვრებაში, ეს მხოლოდ „თავისთავად“ მოხდენილ ფაქტად დარჩა: ცხოვრება თავის გზას მიუყვებოდა, ხოლო წმინდანობა თავისას. წმიდანობა რუსულ რეალობაში უწინარესად გამოიხატებოდა ცოდვილიანი ცხოვრებიდან განდგომით, ხოლო საერო ცხოვრება არ იღებდა ქრისტიანული ეთიკის ავთენტურ თესლს.

დასავლეთში, როგორც სახელმწიფოები, ასევე მათი ეკლესიები, ანტიკურ ხანასა და შუასაუკუნეებში, განვითარების ფაზაში იმყოფებოდნენ. მეორე ათასწლეულის დასაწყისში ეს პერიოდი დასრულდა, ეკლესიამ შეაფასა თავისი დამოუკიდებლობა სახელმწიფოსთან მიმართებაში და მიაღწია განვითარების შესაძლებლობას: უპირველესად, თეოლოგიურ და განათლების სფეროში, აქედან გამომდინარე კი – სხვა სფეროებშიც.

ამკარა, და როგორც აღვნიშნე, განგების ძალაც ურევია იმაში, რომ მეორე ათასწლეულში ეკლესიის აქტიურობამ დასავლეთში გადაინაცვლა და დასავლურმა ეკლესიამ დაიწყო აღმოსავლურის გამოკვება. ამ გზით, მუხედავად ფორმალური გათიშვისა, ქრისტეს ეკლესიისთვის საჭირო ერთობა უფრო მეტად იწყებს გამჟღავნებას. ამის დასტურად მრავალი მაგალითის



მოსკოვის კრემლის მიძინების კათედრალი

მოყვანა შემოიძლია: მე მხოლოდ სამს მოვიყვან.

პირველი, თეოლოგიურ სფეროში: ორთოდოქსულმა ეკლესიამ უპირობოდ მიიღო შვიდი წმიდა საიდუმლოს მოძღვრება, საღვთო წერილი და წმიდა ტრადიცია; მაგრამ ეს მოძღვრება და ფორმულირება ტრენტოს კრების შედეგი გახლდათ;

მეორე მაგალითი: ცოდნას მოწყურებული ორთოდოქსები (მეტადრე, ბერძნები) წყურვილს დასავლეთში იკლავდნენ. სწავლის პერიოდში ისინი კათოლიციზმს ენაფებოდნენ, მერე კი ისევ ორთოდოქსობას უბრუნდებოდნენ. ამის ნათელი მაგალითია წმიდა მაქსიმე ბერძენის ბიოგრაფია;

და ბოლოს, მესამე მაგალითი, ყველაზე ცხადი და დამაჯერებელი: თავად რუსეთის გული, ანუ მოსკოვის კრემლის მიძინების კათედრალი, 1475-1479 წლებში აგებულ იქნა არა ბერძენის, არც მისი თანამოძმე ორთოდოქსის, არამედ კათოლიკე არისტოტელე ფიორავანტის მიერ.

აქედან უნდა დავასკვნათ, რომ მჭიდრო საეკლესიო ცხოვრების გარდა, რუსეთის კავშირები დასავლეთთან არასოდეს განწყვეტილა. რასაკვირველია, ეს ეხებოდა უწინარესად კომერციულ და ტექნიკურ სფეროს. სწორედ ამ კავშირების ზეგავლენით შეიქმნა XVII-XVIII სუკუნეებში პარადოქსული სიტუაცია: ერთი მხრივ, რუსული მენტალიტეტი, ოდითგანვე იზოლაციონისტური, ტრადიციულად თავს გათიშულად თვლიდა დასავლეთისგან და ამ უკანასკნელს ერესში ჩაძირულად აღიქვამდა, მეორე მხრივ, დასავლური ცხოვრებისთვის დამახასიათებელი ნიშნები ნელ-ნელა იჭრებიან ჰერმეტიულად დაცულ რუსულ საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი, ელიტურ წრეებში. თავად ეკლესიაში მომნიჭდა შეგნება იმისა, რომ განათლება აუცილებელი იყო. ამ თვალსაზრისით, გადამწყვეტი როლი ითამაშა სქიზმამ. თეოლოგიური ლიტერატურის არარსებობამ და განათლების უქონლობამ, ეკლესიის ცხოვრების დაყვანამ გარეგნულ ნიშნებამდე, და ამის შედეგად, სულიერი და ეთიკური პრინციპების სიმწირემ, არა მხოლოდ საერო, არამედ სასულიერო სარბიელზე, წარმოშვა ის ტრაგედია, რამაც მოიცვა ეს ეკლესია და მთელი საზოგადოება.

როგორც ბოლოდროინდელი ანალიზით ირკვევა, კათოლიკე ეკლესიისთვის რეფორმა დიდი წყალობა იყო, რამეთუ მან სტიმული მისცა ეკლესიას, კრიტიკულად შეეხედა საკუთარი თავისთვის, გაეცნობიერებინა მრავალი რამ, რაც მართებული გახლდათ. ასევე ერთგვარი წყალობა იყო რუსული მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ძველმორწმუნეთა სქიზმა, რის შედეგადაც იგი განიწმინდა კონსერვატიული და ბურჟუაზიული ელემენტებისგან და დღის შუქზე გამოიტანა ის დილემა, რის წინაშეც იდგა: ან უნდა ჩაძირულიყო სტაგნაციურ პირობებში, ან უნდა შეცვლილიყო, განახლებულიყო, და ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ დასავლური ერუდიციის წყალობით, რადგანაც, უბრალოდ, სხვა არ არსებობდა: ბერძნები თურქეთის უღელქვეშ იმყოფებოდნენ, ხოლო რუსულ ეკლესიას, არსებობის შვიდი საუკუნის მანძილზე, თავისი განათლება არ შეუქმნია.

პეტრეს რეფორმა და „დე ფაქტო“ ერთობა

რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის ცხოვრებაში უდიდესი მოვლენა გახლდათ პეტრე I-ის რეფორმა. დღემდე არ შეწყვეტილა კამათი მისი ფიგურისა და მის მიერ განხორციელებული ცვლილებების ირგვლივ. ვთვლი, რომ ეს, მართალია, ძვირად დაუჯდა პეტრე I-ს, მაგრამ მან გაახანგრძლივა რუსული ეკლესიის სიცოცხლე და ახალი ენერჯია შთაბერა მას. პეტრეს რეფორმის გარეშე, ჩვენი ეკლესია, თავისი შინაგანი რესურსებით, ვერანაირად ვერ გასცილდებოდა ჰერმეტიულ იდეოლოგიას, რამაც იგი სქიზმამდე მიიყვანა და ისიც გაიზიარებდა „მარიონეტებად ქცეული“ ანტიკური აღმოსავლური ეკლესიების ბედს. „მათი ნაყოფით იცნობთ მათ“ (მათ. 7,20), გვეუბნება სახარება; XIX საუკუნის ბოლოს ეს ნაყოფი უკვე მკაფიოდ თვალშისაცემი გახლდათ. თავბრუდამხვევი სისწრაფით



პეტრე I


განვითარდა არა მხოლოდ თეოლოგიური აზროვნება, არამედ, ზოგადად საეკლესიო ცხოვრების სხვა ასპექტებიც; რუსულ ეკლესიას უკვე ოთხი თეოლოგიური აკადემია გააჩნდა, რუსული რელიგიური მეცნიერება მსოფლიო დონეს ტოლს არ უდებდა. 1917-1918 წლების კრებამ აჩვენა, თუ რამხელა შესაშური პოტენციალი დაგროვდა ეკლესიაში პეტრე I-ის მიერ გატარებული რეფორმით. შემდგომში რომ არ მომხდარიყო ძალადობრივი გახლეჩა, რაც ბოლშევიკური რეჟიმის მხრიდან მთელ ქვეყანასთან ერთად იწვნია ეკლესიამაც, ჩვენ აქამდეც შემოქმედებითად განვითარდებოდით და ამ პოტენციალის ნაყოფს დღესაც ვიგემებდით.

მაინც რა გააკეთა ასეთი პეტრე I-მა? ცხადია, იყო მრავალი გაუმართლებელი მსხვერპლი და საეკლესიო მმართველობის კანონიკური მართლმადიდებლური სტრუქტურის ნგრევა, მაგრამ პეტრე I-მა ლუთერულ მოდელზე დამყარებული, ახალი ადმინისტრაციული საეკლესიო სისტემის დაარსებითა და თავის საკადრო პოლიტიკაში სამხრეთ რუსეთის ეპისკოპოსებზე არჩევანის გაკეთებით, კარი გაუხსნა საეკლესიო განათლებას; რადგანაც ეს ერუდიცია უკრაინიდან მოდიოდა, და იგი არსობრივად, მთლიანად კათოლიკური იყო, რუსეთის პირველმა იმპერატორმა, პრაქტიკულად, რუსული მართლმადიდებლობა დააახლოვა დასავლურ ეკლესიასთან და ამით, სავსებით გაუცნობიერებლად, კიდევ ერთხელ მისცა შესაძლებლობა, არა ოფიციალური გზებით, მაგრამ ფაქტობრივად გამოეველინებინა ეკლესიის გაუთიშავი ერთობა. თავად ის ფაქტი, რომ რუსულმა ეკლესიამ, რომელიც მიიმედ განიცდიდა სქიზმას და პეტრეს რეფორმას, მთლიანად მიიღო და გაითავისა სამხრეთ რუსეთის საეკლესიო ერუდიცია, ეს

კიდევ ერთხელ ამონიშნებს რუსული მართლმადიდებლობის კეთილგონიერებას და საყოველთაო ეკლესიასთან ღრმა ერთობას.

ჩვეულებრივ, „მოსკოვის რუსეთის“ („Московской Руси“) მომხრეები საყვედურებს გამოთქვამენ სინოდის პერიოდზე, რადგანაც ფიქრობენ, რომ მან დაასუსტა რელიგიური ცხოვრება. ეს სიცრუეა. პირიქით, სწორედ სინოდის პერიოდში გამოჩნდნენ დიდი წმიდანები, მართლწმიდა სერაფიმე საროველის გახსენება რად ღირს. ხოლო ისეთ წმიდანებს, როგორც იყვნენ მოსკოვის მიტროპოლიტი ფილარეტი ან თეოფანე დაყუდებული, თავისი დროის უგანათლებულესი ადამიანები, ვერ წარმოშობდა სინოდამდელი „უნიგნური“ პერიოდი.

თავად ის ფაქტი, რომ სინოდის პერიოდში ეკლესიის ერთობა განსაკუთრებით მკაფიოდ წარმოჩინდა, ეს იმდროინდელი რუსი წმიდანების ყოველდღიური ცხოვრებითა და მათი ნაყოფიერი მოღვაწეობითაც ჩანს. ასე, მაგალითად: წმიდა იოანემ (მაქსიმოვიჩი), ტობოლ-



სერაფიმ საროველი

სკის მიტროპოლიტმა ორთოდოქსულ წესში შეიტანა რამდენიმე, სხვა კონფესიების ავტორთა მის მიერ დამუშავებული ტექსტები: XVII საუკუნის კათოლიკე ავტორების, ამბროჯო მარლიანის „Thearum politicum“ („თეატრონი“) და ბენედიქტუს ვან ჰეტენის „Regia via crucis“; ლუთერელ იოან გერჰარდის „edidationes Sacrae“ („წმინდა განსჯანი“); ასევე, ცნობილი Heliotropium, 1627 წელს გამოცემული, გერმანელი კათოლიკე მწერლის იერემია დრექსელის ამავე სახელწოდების ტრანსპონირებული ნაშრომი. დღემდე ყველაზე ცნობილი და პოპულარული ასკეტური ხასიათის ტექსტი რუსეთის ეკლესიაში არის იტალიელი ბერის, ლორენცო სკუპოლის (1530-1610) „სულიერი ბრძოლები“ (Il combattimento spirituale), რომელიც გადაამუშავა წმ. ნიკოდემუს მთაწმინდელმა და გამოსცა წმ. თეოფანე დაყუდებულმა, რომელიც, თავის მხრივ, კითხულობდა და თარგმნიდა ჟენევის ეპისკოპოსის, წმიდა ფრანცისკო სალუზიელის (1567-1622) ნაშრომებს. კათოლიკური მხატვრობა და დასავლური პოლიფონიური გალობა ხომ სრული სახით დამკვიდრდა რუსული ეკლესიის წესში.

ამ წმიდანებმა არ უარყვეს დასავლური ღირებულებები: საკმარისია, გავიხსენოთ ლათინური სტილით შესრულებული ღვთისმშობლის ხატი, რომლის წინაშეც ლოცულობდა წმიდა სერაფიმე საროველი, ასევე წმიდა თეოფანე დაყუდებულის მიერ დანერილი ხატები. სხვა კონფესიის წარმომადგენელთა ხელოვნების მიღების ფაქტები ნათლად დასტურდება რუს წმიდანთა ორი უმ-

ნიშვნელოვანესი ფიგურის, წმ. დიმიტრი როსტოველისა და წმ. ტიხონ ზადონელის ცხოვრებითა და მოღვაწეობით.

„მიბაძვა ქრისტისი“ და „ნამდვილი ქრისტიანობა“



დიმიტრი როსტოველი


წმ. დიმიტრი როსტოველი, უწინარესად, ცნობილია თავისი თორმეტკომეულით – „წმიდანთა ცხოვრება“, რამაც უზარმაზარი გავლენა მოახდინა მთელ რუსულ კულტურაზე. ეკლესიის ისტორიის კვლევისას, წმ. დიმიტრიმ მასალები მოიძია როგორც ორთოდოქსული, ასევე – და უმეტეს შემთხვევაში, – კათოლიკური წყაროებიდან. წმ. დიმიტრი მოწინებას იჩენდა

დასავლეთის წმიდანთა მიმართ, მათ შორის, ეკატერინე სიენელისადმი, რომელსაც იგი ეკლესიის ყველაზე დიდ მასწავლებლად მიიჩნევდა. მან გაიზიარა ლათინური რი სწავლება ღვთისმშობლის შესახებ, მის სახელთანაა დაკავშირებული ორთოდოქსული ლოცვის პრაქტიკაში კათოლიკური სავარდის დანერგვა, რაც „Ave Maria“-ს ტექსტზეა აგებული (აღსანიშნავია, რომ წმ. სერაფიმე საროველი თავის ცნობილ „ერისკაცთა წესში“ ურჩევდა ყველას, დღის მთელი მეორე ნახევარი ამ ლოცვისთვის დაეთმოთ). ყოველივე ამას ხელი არ შეუშლია წმ. დიმიტრისთვის, დარჩენილიყო ორთოდოქსიის შუქურად და მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმიდანად შერაცხულიყო. მისი ერთ-ერთი საყვარელი წიგნი გახლდათ ევროპაში პოპულარული „მიბაძვა ქრისტესი“ – „De Imitatione Christi“, რომელიც დაწერილია არა უგვიანეს 1427 წლისა, და რომლის ავტორად, სავარაუდოდ, გერმანელი ბერი და მღვდელმსახური თომა კემპელი (დაახლოებით 1380-1471) მიიჩნევა. XVIII ს-დან ეს ნაშრომი ისე ფართოდ გავრცელდა რუსეთში, რომ მთელი ორი საუკუნის მანძილზე იგი განათლებული რუსული საზოგადოებისვის სამაგიდო წიგნად (vademecum) იქცა. თომა კემპელის ამ ნაწარმოებს დიდად აფასებდა წმ. ფილარეტ მოსკოველი, ხოლო წიგნის რუსულენოვანი თარგმანის უამრავი ნიმუშიდან ყველაზე ცნობილია 1869 წელს, წმიდა სინოდის ობერ-პროკურორის, კ. პობედონოშევის მიერ შესრულებული ვარიანტი. ყოველივე ეს მეტყველებს იმაზე, რომ თომა კემპელის წიგნი რუსული კულტურული და სასულიერო ცხოვრების



ტიხონ ზადონელი

განცხადება



კათოლიკურ ეკლესიასთან არსებული კულტურისა და ეკუმენიზმის საბჭო და სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი, მიხეილ თამარაშვილის გარდაცვალების 100 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით, აცხადებს კონკურსს მ. თამარაშვილის შემოქმედების შესახებ საუკეთესო ნაშრომზე.

ნაშრომდგენილი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1. არ უნდა აღემატებოდეს 20 ნაბეჭდ გვერდს;
2. შრიფტი: 12, აკად.ნუსხური, ბიჯი — 1;
3. რეზიუმე ინგლისურ ენაზე, დაახლ. 300-500 სიტყვა;
4. ნაშრომის ელექტრონული ვერსია

ნაშრომის წარდგენის ვადები: 15-დან 30 ივნისამდე.

საუკეთესო ნაშრომისთვის დაწესებულია პრემია:

- I პრემია — 2000 ლ.
- II პრემია — 1000 ლ.
- III პრემია — 500 ლ.

ელ. ფოსტა: religion.ge@yahoo.com; ☎ (899) 17-64-98

განუსვენე მათ, უფალო!



დარეჯან ზაზაშვილი-გიორგვილი

* 4.3. 1935 წ. – უფე
† 4.04.2011 წ. – უფე

სარჩევი

ეპისკოპოსის სააღვლო მომართვა2

რედაქციის გვერდი3

კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში4

კათოლიკე ეკლესია საქართველოში7

ინტერვიუ9

კათოლიკური პასუხი 11

საარქივო მასალები..... 13

ქრისტიანობის ლექსიკონი..... 14

აქტუალური თემა 15

ინფორმაცია 16

ახალგაზრდული გვერდი 19


საგანგებო ჩანართი I-IV

რედაქცია:

მამა გაბრიელე ბრეგანტინი
ნუგზარ ბარდაველიძე
ნატო ბიგვაკა
ვერიკო ნოზაძე
მერაბ ლაღანიძე
ზაზა შათირიშვილი
ციცილო ხითარიშვილი

მისამართი:

თბილისი, გია აბესაძის ქ. №4
ტელ.: 98-95-16
რეგისტრაციის № 1853
დაარსდა 1994 წ.
მანანა ანდრიაძის მიერ
© „საბა“, 2011



საქართველოს ათოლიათა ახალგაზრდების საბჭო

ეხთიანობისა და თანაზიარების სუხვილით



წლების განმავლობაში ჩვენს ეკლესიაში ლამაზი ტრადიცია არსებობდა: აღდგომამდე, ბზობის წინა შაბათს (ახალგაზრდების დღეს), ახალგაზრდები, საქართველოს ყველა საკრებულოდან, იმ სამრევლოში ჩადიოდნენ, რომელსაც წილად ხვდებოდა, ყოფილიყო ახალგაზრდული შეხვედრის მასპინძელი. იქ იმართებოდა სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიებები, დისკუსიები. ყოველივე ეს ხელს უწყობდა ერთმანეთთან დაახლოებას და ჩვენს ერთიანობას უფრო ამტკიცებდა. ეს შეხვედრები თანდათან მივიწყებას მიეცა და სხვადასხვა საკრებულოს, განსაკუთრებით კი, ცენტრისა და რეგიონების ახალგაზრდებს შორის კავშირი თითქმის გაწყდა. სწორედ ერთიანობისა და თანაზიარების სურვილი იყო მიზეზი თბილისის საკათედრო ტაძრის ახალგაზრდების ერთდღიანი ექსკურსია-მომლოცველობისა არალში (მესხეთში), რომელიც 19 მარტს შედგა.

ყველაფერი კი ასე დაიწყო: წმიდა იოსების დღესასწაულამდე რამდენიმე კვირით ადრე, ერთ-ერთი ახალგაზრდული შეხვედრის დროს, განვიზრახეთ არალში წასვლა და იქაური მრევლისთვის წმ. იოსების დღესასწაულის მილოცვა. გამგზავრების წინ, ყველანი შევიკრიბეთ კათედრალური ტაძრის წინ და მომლოცველთა დასალოცად მოსულ ეპისკოპოსს მისი წმიდანის დღე მივულოცეთ.

ჩვენი ვიზიტი მოსალოდნელზე უკეთესი აღმოჩნდა: ეს იყო არა უბრალოდ შემეცნებითი ექსკურსია, არამედ ერთმანეთთან სულიერი თანაზიარება, რომელიც არა მხოლოდ წმ. ნირვის, არამედ მგზავრობის, სამხრეთ საქართველოს კათოლიკური ეკლესიების მონახულებისა და მოლოცვის დროსაც იგრძნობოდა.

ეპისკოპოსის მიერ აღვლენილი სადღესასწაულო წირვა საინტერესო და ნაყოფიერი იყო სხვადასხვა საკრებულოდან მოსული მრავალი მორწმუნისათვის. წირვის დასასრულს, არლის მრევლმა მიგვიწვია ახალგაზრდების ნამუშევრების გამოფენაზე და შესანიშნავად გვიმასპინძლა სტუმრებისათვის საგანგებოდ მომზადებულ სუფრაზე.

თუმცა ჩვენი მომლოცველობა აქ არ დასრულებულა. წინ გველოდა მესხეთის რამდენიმე მოქმედი და დროებით ჩამორთმეული ეკლესიების მონახულება (უდეს ორივე ეკლესია, ივლიტას ეკლესია და ყველასათვის საამაყო, მშენებარე რაბათი). ბევრ ჩვენგანს ეს ეკლესიები არ ჰქონდა ნანახი, ამიტომ მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ამ ტაძრების მონახულება.

თბილისში დავბრუნდით მიღებული შთაბეჭდილებებით კმაყოფილები და მადლიერები ღმერთისა და ყველა მათგანისა, ვინც ეს დღე ასე ლამაზი და დასამახსოვრებელი გახდა. განსაკუთრებული მადლობა ჩვენი მეგობრის, ხატია ალოშაშვილის ოჯახს გუთუხვი მასპინძლობისთვის. აქ გატარებულმა რამდენიმე საათმა უდიდესი სითბო და სიყვარული გვაგრძობინა, რაც ჩვენთვის მისი ჩვენდამი გულწრფელი და უანგარო მეგობრობის დასტური იყო.

P.S. ჩვენი მომლოცველობის ერთ-ერთი მიზანი ჩვენი ეპისკოპოსისათვის ამ ლამაზი დღის მილოცვა იყო. ვიმედოვნებთ, რომ ამ პატარა შესტით გავახარეთ მისი გული ☺

კათედრალის ახალგაზრდების ჯგუფი

